# ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2011 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე David Claes (C-235/10), Sophie Jeanjean (C-236/10), Miguel Rémy (C-237/10), Volker Schneider (C-238/10) and Xuan-Mai Tran (C-239/10) v Landsbanki Luxembourg SA., გაერთიანებული საქმეები C-235/10 - C-239/10, ECLI:EU:C:2011:119.

*მოკლე მიმოხილვა:*

საქმე შეეხებოდა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სამართლებრივ დავას, რომელიც გამოწვეული იყო ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი საკრედიტო დაწესებულების მიერ დასაქმებულთა მასობრივი დათხოვნით. კერძოდ, დასაქმებულებს დაწესებულების ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან მე-3 დღეს ეცნობათ აღნიშნული პროცესის დაწყებისა და მათი შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ.

საქმის განმხილველმა ეროვნულმა სასამართლომ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შეკითხვებით: 1) ვრცელდებოდა თუ არა „სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე“ საბჭოს 1998 წლის 20 ივლისის დირექტივის 98/59/EC („დირექტივა“) მოქმედება ისეთ საკრედიტო დაწესებულებაზე, რომელსაც საქმიანობა შეუწყდა გადახდისუუნარობის გამო, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა შრომითი ხელშეკრულებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას? 2) პირველ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში ეკისრებოდა თუ არა დაწესებულების ადმინისტრატორს ან ლიკვიდატორს დირექტივის მე-2 [კონსულტაციების გამართვა] და მე-3 [კომპეტენტური ორგანოს ინფორმირება] მუხლებით გათვალისწინებული დამსაქმებლის ვალდებულებების შესრულება?

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ დირექტივის მოქმედების სფერო მოიცავდა ისეთ მასობრივი დათხოვნას, რომლის საჭიროებაც სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტის შედეგად წარმოიშვა, მაშინაც კი, როცა ეროვნული კანონმდებლობა შრომითი ხელშეკრულებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითვალისწინებდა.

ამასთან, სასამართლომ დაასკვნა, რომ დირექტივის მე-2 და მე-3 მუხლებით დამსაქმებლებისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო დამსაქმებელი კომპანიის მართვაში დატოვებული ხელმძღვანელობა, მიუხედავად მართვის შეზღუდული უფლებამოსილებისა. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი დაწესებულების მართვის უფლებამოსილება ლიკვიდატორს გააჩნდა, სწორედ ამ უკანასკნელს უნდა შეესრულებინა დირექტივით განსაზღვრული ვალდებულებები.

*მნიშვნელოვანი ამონარიდები გადაწყვეტილებიდან:*

43 [...] დირექტივის 98/59 მოქმედების სფერო, 1(2)-ელი მუხლით განსაზღვრული სამი გამონაკლისის გათვალისწინებით, მოიცავს დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტით გამოწვეულ მასობრივ დათხოვნას, როდესაც აღნიშნული წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგს.

[...]

52 [...] მასობრივი დათხოვნა დირექტივის 98/59 მოქმედების სფეროში ექცევა მაშინაც კი, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა შრომითი ხელშეკრულებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითვალისწინებს ისეთი დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, რომლის დაშლის და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო გადახდისუუნარობის საფუძვლით.

53 გადახდისუუნარობის შემთხვევაში იმ დაწესებულების სამართალსუბიექტობა, რომლის დაშლის და ლიკვიდაციის შესახებაც გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო, არსებობას განაგრძობს მხოლოდ შეზღუდული მიზნებისთვის, კერძოდ, აღნიშნული პროცედურის მოთხოვნებისთვის და ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნებამდე. მიუხედავად ამისა, ასეთი დაწესებულება ვალდებულია, შეასრულოს დირექტივის 98/59 მე-2 და მე-3 მუხლებით დამსაქმებლებისთვის დაკისრებული ვალდებულებები იმ მომენტამდე, სანამ მისი სამართალსუბიექტობა საბოლოოდ შეწყვეტს არსებობას.

54 სანამ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელობა მართვაში რჩება, მან, მართვის შეზღუდული უფლებამოსილების პირობებშიც კი, უნდა შეასრულოს დირექტივის 98/59 მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული დამსაქმებლების ვალდებულებები.

55 თუმცა, თუ შესაბამისი დაწესებულების მართვას მთლიანად ლიკვიდატორი გადაიბარებს, სწორედ ლიკვიდატორმა უნდა უზრუნველყოს დირექტივით 98/59 განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

56 ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივის 98/59 მე-2 მუხლით გათვალისწინებული კონსულტაციები მოიცავს არა მხოლოდ მასობრივი დათხოვნის თავიდან აცილების ან დაზარალებულ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების გზებსა და საშუალებებს, არამედ უარყოფითი შედეგების შემსუბუქებას თანმხლები სოციალური ზომების მიღებით, რომლებიც, მათ შორის, მიზნად ისახავს, სამსახურიდან გათავისუფლებული დასაქმებულების მხარდაჭერას ხელახალი დასაქმებით ან გადამზადებით.

57 თუ არ არსებობს დირექტივით 98/59 გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, ეროვნული მოსამართლე ვალდებულია, შესაძლებლობის შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა განმარტოს დირექტივის 98/59 ფორმულირებისა და მიზნების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დირექტივის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულება.

58 [...] ამრიგად, [...] იმ დაწესებულების სამართალსუბიექტობის შეწყვეტამდე, რომელთან დაკავშირებითაც მიღებული იქნა სასამართლო გადაწყვეტილება დაშლისა და ლიკვიდაციის შესახებ, დირექტივის 98/59 მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შესრულდეს. აღნიშნული დებულებებით გათვალისწინებული დამსაქმებლის ვალდებულებები უნდა შესრულდეს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ, თუ ის კვლავ მართვაშია თუნდაც დაწესებულების მართვის შეზღუდული უფლებამოსილების პირობებში, ან მისი ლიკვიდატორის მიერ, თუ დაწესებულების მართვა მთლიანად ლიკვიდატორმა გადაიბარა.

| | |
|---|---|
| **ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი** | საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXX |
| **ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება** | საბჭოს 1998 წლის 20 ივლისის დირექტივა 98/59/EC სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე |
| **ევროკავშირის სამართლის დებულება** | დირექტივის 98/59/EC 1-ელი, მე-2 და მე-3 მუხლები |

| | |
|---|---|
| **ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა** | საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 49-ე მუხლი<br>*(სარეგისტრაციო კოდი: 270000000.04.001.016012; 16/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)* |
| **საკვანძო ტერმინი** | **მასობრივი დათხოვნა** |
| **CJEU-ის პრეცედენტული სამართალი** | 2011 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე David Claes (C-235/10), Sophie Jeanjean (C-236/10), Miguel Rémy (C-237/10), Volker Schneider (C-238/10) and Xuan-Mai Tran (C-239/10) v Landsbanki Luxembourg SA., გაერთიანებული საქმეები C-235/10 - C-239/10, ECLI:EU:C:2011:119 |

*ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე. ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს.*